

# ხობის მოამბე

№5 (7145)
30 აპრილი, შაბათი.
2022 წელი.
ფასი 0,70 ლარი

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

## ამონარიდები

### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საააღდგომო ეპისტოლედან



* * *

„ქრისტე აღსდგა!

შემოდის დღე ძლევამოსილი და დიადი, დღე სიკვდილის დამთრგუნველი და ათასწლეულების წყევლის განმაქარვებელი.

„სადა არს, სიკვდილო, ნესტარი შენი, სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“ (1 კორინ. 35.55)

ქრისტესთან ნათლობით დაკავშირებულნი და მისი მცნებისამებრ მცხოვრებნი ყოველნი, ნეტარ უკვდავებასთან თანაზიარნი ხდებიან მასთან ერთობით, რომელიც თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლის მომნიჭებელი. ამიტომაც წერს მოციქული: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე სიცოცხლეს იძენენ ქრისტეში“ (1 კორინ. 15,22); „ღმერთმა მოგვცა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 ინ. 5,11).

***

ჩვენთვის რომ გადარჩენის ერთადერთი გზა მოეპოვებინა, მაცხოვარმა უდიდესი დამცირება, ცილისწამება და ტანჯვა დაითმინა და საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით გამოგვიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან.

მართალია, ქრისტეს აღდგომით ბოროტება შეიმუსრა, მაგრამ განწმენდისა და ცოდვის ბიწისაგან გათავისუფლების პროცესი სულიერი ღვაწლითა და მრავალი განსაცდელის ღირსეულად დათმენით ყველამ პიროვნულადაც უნდა აღვასრულოთ, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ომს თავის თავთან კი არ აწარმოებს, არამედ მოყვასთან და შუღლითა და დაპირისპირებით ცდილობს საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებას.

***

უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.

* * *

სრულქმნილი სიყვარულის მიღწევისათვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა საეკლესიო მსახურება გულისხმობს უფლისადმი ვედრებას: „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, მადლითა შენითა“

მოციქული გვარიგებს, –ილოცეთ მუდამ (1 თეს. 5,17), რაც ადვილი არ არის, მაგრამ არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას.

ეს არის „უფალო, შეგვიწყალენ.“

თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.

ეს ორი სიტყვა ღრმა აზრის შემცველია; მისი საშუალებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთს ვართ მინდობილნი და მას შევთხოვთ მფარველობას, რომ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს მისი მოწყალებისა, ვაღიარებთ იმასაც, რომ მის გარეშე ვერც სულიერ სიბრძნეს შევიძენთ და ვერც ბოროტს დავამარცხებთ. ასე რომ, გამუდმებით ილოცეთ–„უფალო, შეგვიწყალენ“.

ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორინ. 6, 19-20); ილვაწეთ, რომ, წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისთვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!

ქრისტე აღსდგა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და განგამტკიცოთ რწმენასა და სიყვარულში.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

***ილია II.***
***აღდგომა ქრისტესი,***
***თბილისი, 2022.***

## საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა იწყება



პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 1 ჰა-ზე 300 ლარით. პროგრამის ფარგლებში სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰა-დან - 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები. პროგრამის ბიუჯეტი 35 მილიონ ლარს შეადგენს.

პროგრამით 300 000-მდე ფერმერი ისარგებლებს.

პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს, სუბსიდია სპეციალურ აგრობარათებზე ქულების სახით დაერიცხებათ, რომლის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად შეეძლებათ.

პროგრამის დამტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროული და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა, წარმოებისთვის საჭირო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და აგრარული სამუშაოების მიმართულებით აქტივობის სტიმულირება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა დადებით გავლენას მოახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ბენეფიციარი ვალდებულია დარეგისტრირდეს ფერმერთა რეესტრში. (ცხელი ხაზი 1501)

## დიდება გმირებს...

ახლოვდება 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების დღე... რომელიც კაცობრიობას, თაობიდან თაობას დღემდე (მიუხედავად წელთა სიმრავლისა) დიდ ტკივილიან მოგონებად შემორჩა.

დრომ წაიღო წლები, გაიყოლა ომგადახდილთა მოგონებები, შეკრებები, შეხვედრები... მათი დაფასებისა და მოფერების ამსახველი სტრიქონები კი შემორჩა ჩვენი გაზეთის გაცრეცილ ფურცლებს. ფოტოებმა (მადლობა ბატონ ირაკლი შონიას) კიდევ ერთხელ გაგვიცოცხლა მათი სახეები.



ჩვენს მუნიციპალიტეტს, საბედნიეროდ, შემორჩა „უკანასკნელი მოჰიკანი“ ბატონი **კაპიტონ ცხადაია**–დიდი და საამაყო ოჯახის მამა და ბაბუა. რა თქმა უნდა, მოლოცვის ბარათი გავამზადეთ, მაგრამ რატომღაც სურვილი გაგვიჩნდა რედაქციის არქივიდან გამოგვეყენებინა ბატონ კაპიტონ ცხადაიას (უფალმა დიდხანს აცოცხლოს) და ომაგადახდილ ქალბატონებზე ზინა შუშანიასა და შუშანა ლორჩოშვილზე თბილი მოგონებები. ამით კიდევ ერთხელ გვეთქვა სამადლობელი იმ ღვაწლისთვის, რაც მათ დასდეს ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას, საზოგადოებისთვის შეგვეხსენებინა, რომ ისინი თავიანთი ცხოვრებით ალამაზებდნენ ჩვენს ყოველდღიურობას, სამშობლოს სიყვარულის ცოცხალ მაგალითად გვევლინებოდნენ.

ვფიქრობთ, მკითხველიც ისიამოვნებს ამ მოგონებათა „სკივრით“, ამიტომ ვვარაუდობთ შემდეგ ნომერშიც დავბეჭდოთ სტატიები „რედაქციის არქივიდან“.

***მერი ლაგვილავა***

3გვ.

## მიწის მფლობელთა ხელშეწყობის პროგრამის განმარტება

4გვ.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## სპორტი



ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია წარმატებულ ხობელ სპორტსმენს, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრს, მსოფლიოს, ევროპის და საერთაშორისო პირველობების გამარჯვებულსა და პრიზიორს, ნუგზარ წურწუმიას და მის მწვრთნელს, მამუკა ყორშიას შეხვდა.

მერმა ხობელ სპორტსმენს მადლობა გადაუხადა ქართველი გულშემატკივრების მრავალგზის გახარებისთვის და ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობა და ვიცე-ჩემპიონის ტიტული მიულოცა.

შეხვედრას მერის მოადგილე დავით ბერაია და „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის" დირექტორი კობა კობახიძე ესწრებოდნენ.

ნუგზარ წურწუმია მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობისთვის ემზადება, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში, სერბეთში გაიმართება.



ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ხობელმა მოკრივემ, დემურ ქაჯაიამ ოქროს მედალი მოიპოვა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ვულოცავთ, ხობელ სპორტსმენს საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ მნიშვნელოვან გამარჯვებას.



დასრულდა, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, გოგა ბერაიას სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში.

ტურნირის გამარჯვებული და გოგა ბერაიას სახელობის თასის მფლობელი ქალაქ ხობის გუნდი „ჭალე" გახდა, ხოლო მეორე ადგილი შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდმა დაიკავა.

საფეხბურთო ტურნირის ფინალურ შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული შეჯიბრება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით განხორციელდა



ქალაქ ხობში, ანრი ჯგერენაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრები გაიმართა.

შეჯიბრებაში ხობის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების 13 გუნდი მონაწილეობდა.

ტურნირის გამარჯვებული ქალაქ ხობის 1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ხეთის საჯარო სკოლამ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე სკოლა „არეას" გუნდი გავიდა.

ღონისძიებას, ანრი ჯგერენაიას ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ორგანიზებით განხორციელდა.

## სოფელი

# „კიდევ ბევრი კარგი საქმე გაკეთდება"



მოგესალმებით, მივესალმები „ხობის მოამბეს" მკითხველს.

ხეთის ადმინისტრაციული ერთეული ტერიტორიულად არის ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც შედის ხუთი სოფელი; ხეთა, წინაგოლა, ნოჩხონი, საქირიო და ლარჩვა.



მიუხედავად პანდემიისა, ამ პერიოდის განმავლობაში, თემის განვითარებისა და კეთილმოწყობის პროცესი არ შეწყვეტილა, ხეთაში შესაძლებლობის ფარგლებში გრძელდებოდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი და ტერიტორიულ ერთეულში სასიკთო საქმე გაკეთდა.

სოფელ ოხვამეკარში დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი და მოეწყო ეზოებში შესასვლელები.

სოფელ წინაგოლაში 3,5 კილომეტრიანი და სოფელ კორცხოში 1.8 კილომეტრიანი გზების რეაბილიტაცია განხორციელდა.

თემის რამდენიმე უბანში მოგვარდა წყლის მიწოდების პრობლემა, ნოჩხონში განხორციელდა გარე განათების რეაბილიტაცია.

უახლოეს მომავალში დაიწყება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები, სადაც მოსახლეობის მიერ არჩეული პრიორიტეტული საკითხები იქნება მოგვარებული. ასევე დაგეგმილია ხეთაში გზის ცემენტო-ბეტონის სამუშაოების განხორციელება.

ხეთაში ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები, ხვნა-თესვის პერიოდში ადგილობრივებს მიწის დასამუშავებლად მოემსახურება 7 ერთეული ტრაქტორი.

ჩემთვის, როგორც ხელმძღვანელისთვის, მნიშვნელოვანია გავითავლისწინო თითოეული ხეთელის მოსაზრება და ვიყო მათ გვერდით. მე მათ წინაშე და არა მხოლოდ მათ წინაშე, გამაჩნია უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველთვის ვდგავარ და ვიდგები იქ, სადაც სიმართლეა, სადაც დანდობა და სიყვარულია. სწორედ ასე მოვედი დღემდე,

ჩემი დევიზია, ჩემს გუნდთან ერთად, ერთგულად, დაუღალავად, პატიოსნად და სიყვარულით ვემსახურო ჩემს ხეთას და ვიყო პირნათელი ხეთელების წინაშე.

სოფელი ჩვენი სავიზიტო ბარათია, მას გაფრთხილება სჭირდება. აქტიურად გრძელდება საპროექტო სამუშაოები, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს. მჯერა, კიდევ ბევრი კარგი საქმე გაკეთდება ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და მათი გვერდში დგომით.

***შავლეგ ბუკია, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში.***

## ერთი ავტორის გვერდი

# გულწრფელი მოლოცვა კაპიტონ ცხადაიას



9 მაისი, გამარჯვების 77-ე წლისთავი. გამარჯვების, რომელიც ტკივილად, დარდად შემორჩა კაცობრიობას, დღე, რომელსაც ასიათასობით ქართველი ჭაბუკი შეეწირა... ტკივილი და დარდი დატოვა...

ეს განცდა დღესაც არ განელებია კაპიტონ ცხადაიას, რომელმაც თავად იწვნია იმ უბედური და საშინელი დღეების სიმწარე. ვინ იცის, რამდენჯერ ჩაუხედავს სიკვდილისთვის თვალებში, მაგრამ, თავად ბედმა დაინდო და ყოველ 9 მაისს ომში განვლილი წლების განცდით ცოცხლობს.

ისინი, ხობიდან წასული ბიჭები, ბევრი იყვნენ, ბევრი დაბრუნდა შინ, ბევრმა კი ვინ იცის, სად გაითხარა საძმო საფლავი, იყვნენ უგზო-უკვალოდ დაკარგულები... თუმცა დღეს 77-ე წლისთავს, ხობიდან მხოლოდ და მხოლოდ ბატონი კაპიტონი შემორჩა. ომგადახდილი, თავმდაბალი, სიკეთით სავსე ადამიანი მტკივნეულად განიცდის ყოველივეს, ენანება მათი არყოფნა.

ბატონი კაპიტონი—ეს მშვიდი, გაწონასწორებული, შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით დახუნძლული ადამიანი დღესაც, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, განვლილი ტკივილების მიუხედავად, ხარობს მისი და მისი უსაყვარლესი მეუღლის (აწგანსვენებული ტასო ზამბახიძის) მონაგარით. თუმცა თბილი ქალბატონის ტასოს არყოფნა ძალიან ტკივა და დღესაც ისე განიცდის, როგორც პირველად...

ცხოვრება გრძელდება, გრძელდება მისგან ეულად, ვაჟიშვილთან ერთად. ასევე ტკივა და განიცდის საყვარელი რძლის მაყვალა ლიპარტიას არყოფნას. ის ხომ მათი ტკბილი და ლამაზი ოჯახის სიხარულისა და სიყვარულის თანაზიარი გახლდათ.

ბატონო კაპიტონ! მინდა კიდევ დიდხანს იყოთ თქვენს ლამაზ და განათლებულ მონაგართან ერთად ჯანმრთელად და ბედნიერად.

მომილოცნია გაზაფხულის მობრძანება და მასთან ერთად, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 77-ე წლისთავი.

იდღეგრძელეთ!

*პატივისცემით*
*ნანი კილასონია*
*2022 წელი.*

რედაქციის არქივიდან

# ხობელ ვეტერანთა „უკანასკნელი მოჰიკანი“



74 გაზაფხული, გამარჯვების გაზაფხული ეწვიათ ომგადახდილებს. 9 მაისს სამოცდამეთოთხმეტედ აუთრთოლდა გული, ისე აუთრთოლდა, რომ გამარჯვების დღეს „ხსოვნის ველზე“ წასვლაც ვერ მოახერხა ნოჯიხეველმა 95 წლის კაპიტონ ცხადაიამ. წლების შემდეგ ეს პირველი დღე გახლდათ, როცა იქ, სადაც ყოველ წელიწადს ხობელი ომის ვეტერანები ხვდებოდნენ ერთმანერთს და წარსულსა და აწმყოზე საუბრობდნენ. მათი საუბრის ძირითადი თემა დაკარგული ტერიტორიები და გამთლიანებული საქართველო იყო. დამშვიდობება კი ცრემლიანი თვალებით მთავრდებოდა. სწორედ იქ, მარტო მისვლა იყო მიზეზი მისი ავად გახდომისა. არცერთი ხობელი ომის ვეტერანი დღეს, გარდა ბატონი კაპიტონისა, ცოცხალი აღარ გახლავთ. თვეების უკან გარდაიცვალა პირველმაისელი. ომის ვეტერანი ბატონი ვალიკო ჭითანავა, ნათელი დაადგეს მის საფლავს. ბატონი კაპიტონისთვის ძნელი იყო ომდაგახდილი „ძმების“ ამქვეყნიდან წასვლა.

ბედნიერი ადამიანია კაპიტონ ცხადაია. მას უფალმა წლები უმადლა. წლები, რომელიც ცხოვრებაში პატიოსან შრომაში განვლო თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. მის გვერდით არიან უთბილესი შვილები ციური, ვალერი, ნინო და მათი ოჯახები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომელთა ნახვა და ყოველი სატელეფონო ზარი მისთვის მართლაც რომ ზეიმია და სიხარული. ეს სითბოთი და სიყვარულით სავსე დღეები არ დალეოდეს ბატონ კაპიტონს. იმედია, ის ღვთის რჩეულია და ჩემი ნატვრაც რეალობად იქცევა.

ბატონო კაპიტონ, მოგესალმებით და პატივისცემის ნიშნად გამარჯვების დღეს გილოცავთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები. დაე, დიდხანს, კიდევ დიდხანს ყოფილიყავით თქვენი შვილების გვერდით. იხარეთ თქვენს შთამომავლებთან ერთად მოამაგე ადამიანო. თქვენ მართლაც ბედნიერი ბრძანდებით და ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებთ ხობელ ომის ვეტერანთა „უკანასკნელო მოჰიკანო“. ღვთის წყალობა და თქვენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების სითბო და სიყვარული გისაგზლოთ მუდამ საუკუნეს მიღწეულო ადამიანო!

რედაქციის არქივიდან

# სასიამოვნოა, რომ გიცნობდით, არსებობდით

მშვენიერო და თბილო ადამიანო, გილოცავთ 9 მაისს, გამარჯვების 74-ე წლისთავს. გამარჯვების დღესასწაული თქვენი წილხვედრიცაა. იმედია, იქაც ისევ მხიარულად და სიყვარულით მოძღვრავთ თანამებრძოლებს.





შუშანა ლორჩოშვილი—ეს სახელი და გვარი ძალზე ცნობადი სახე გახლდათ ხობის სინამდვილეში. დიდი სამამულო ომის მონაწილე, ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, მშვენიერი ქალბატონი, ქართულის კარგი მცოდნე და დასამახსოვრებელი ინტონაციით მოსაუბრე გახლდათ და ჩემში დიდ სიმპათიასა და მოკრძალებას იწვევდა და არა მარტო ჩემში... ეს მან დაიმსახურა თავისი საქმიანობით, ომგადახდილი მეუღლით, ოჯახით... მასთან შეხვედრა ყოველთვის გაოცება იყო. ისეთი სითბოთი და სიყვარულით შეგხვდებოდა, როგორც ძალიან ახლობელს. მუდამ მომღიმარი ადამიანი ყოველთვის შენში კარგ შთაბეჭდილებას ქმნიდა და გიხაროდა, რომ ის შენი ნაცნობი იყო. დიდიხანია ხობსა და ხობელებს დააკლდა ეს ღირსეული, მშვენიერი და თბილი ქალბატონი. გულდასაწყვეტია, მისი ამქვეყნიდან წასვლა. დასანანია, რომ ქვეყნის ომის ვეტერანთა კოჰორტას არ ამშვენებს ასეთი ქალბატონი.

* * *

ასეთივე პატივსიცემით მოვიგონებ ომის ვეტერან ქალბატონს ზინა შუშანიას, მშვენიერი ქალბატონი, ღირსეული პედაგოგი, სამშობლოს ერთგული, ქვეყნისა და ერის ჭირისუფალი, სოფლის კოლორიტი, მეოცნებე, ოჯახზე,

დედაზე, ძმებზე და ძმისშვილებზე თანგადაყოლილი. იქ, სადაც დაიბადა და აღიზარდა, დღესაც უკვდავია მისი სახელი. ხორგელებისთვის როგორც საამაყო, მუდამ დაუვიწყარი იქნება ზინა (ცხუფა) შუშანია. ქალი—მეომარი, კარგი შვილი, და, მეგობარი... ასეთად მაგონდება ზინა შუშანია და არ ძალმიძს 9 მაისის დღესასწაულზე მასზე ორიოდე თბილი სიტყვა არ დამეწერა. მხიბლავდა მასში მოძალებული იუმორი. ახლაც მაგონდება მისი ხალისისმომგვრელი გამონათქვამები და სახეზე ღიმილი მესახება.




მშვენიერო ქალბატონებო, გილოცავთ გამარჯვების 74-ე წლისთავს. ნათელი დაადგეს თქვენს საფლავებს.

9 მაისი ხომ თქვენს სახელთანაც ასოცირდება ათასობით ქართველ მეომარ ქალბატონთან ერთად.

მეომარნო, კარგო ქალბატონებო, დიდიხანია ხობსა და ხობელებს დაემშვიდობეთ და დააკლდით.

ჩემთვის დღესაც სასიამოვნო და საამაყოა, რომ გიცნობდით და არსებობდით.

**ნანი კილასონია**

### ბლიც ინტერვიუ

# მჯერა, ვიცხოვრებთ ძლიერ, ერთიან, ევროპულ სახელმწიფოში



**სახელი:** გოჩა (გოგი)
**გვარი:** ქაჯაია
**საქმიანობა:** ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

***თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე:***

–მრავალი ასეთი დღე მქონია საბედნიეროდ, თუმცა გამოვყოფდი დღეს, როცა გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე.

***რას ინატრებდით?***

–ჩემი ყველაზე სანუკვარი ნატვრაა გაერთიანებულ და ძლიერ საქართველოში ცხოვრება.

***სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ:***

–მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შესაძლებლობა გავუშვი, მაინც არ ვფიქრობ, რომ რამე ვერ შევისრულე.

***ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ:***

–ჩემი ოჯახის გარეშე.

***თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე:***

–ალბათ, პასუხისმგებლობის გრძნობა.

***თქვენი ყველაზე უცნაური თვისება:***

–არ ვიცი. ვფიქრობ უცნაურობა არ მახასიათებს.

***რისი გჯერათ?***

–მჯერა, რომ ქართველები ვიცხოვრებთ ერთ-ერთ ძლიერ ევროპულ სახელმწიფოში. ერთიან საქართველოში.

***რასაც არასოდეს გააკეთებდით?***

–არასდროს ვიმოქმედებ საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

***ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება:***

–რთულია ერთი სიტყვით ჩამოყალიბება: პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისმოყვარეობა, სიყვარულის, მეგობრობის უნარი.

***ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?***

–საყვარელი ადამიანის დაკარგვის.

***ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?***

–ვფიქრობ ამოჩემებული ფრაზა არ მაქვს.

***რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?***

–ყოველივე მატერიალური, სიცოცხლის ჩათვლით, წარმავალია. ამიტომ ღირსეულად უნდა ვიცხოვროთ.

***როგორ მოხვდით პოლიტიკაში?***

–პოლიტიკა ჩემი ოჯახის განუყოფელ ნაწილად იქცა ჩემი ძმის, თენგიზ ქაჯაიას პოლიტიკაში მოსვლის დღიდან. თუმცა ჩემი სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე გავხდი 2002 წელს და მას შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკურ თანამდებობებზე მიმუშავია.

***ვინ არიან თქვენი ოპონენტები?***

–ვისაც ჯანსაღი ოპონირება შეუძლია.

***ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?***

–სამწუხაროდ არ ვიცი ინგლისური ენა, თუმცა რა თქმა უნდა ენის შესწავლას მხოლოდ სურვილი არ ყოფნის.

***რითი ილამაზებთ ცხოვრებას?***

–ხშირად ვიკრიბებით ოჯახი ერთად, ასევე მეგობრებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მგვრის.

***როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?***

–როგორც ქვეყნის და თავისი რაიონის პატრიოტი ადამიანი, რომელმაც თავისი მცირე წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

***როცა უკან მოიხედავთ, რას ხედავთ?***

–ვხედავ ბევრ ტკივილს, ბევრ სიხარულს, და რაც მთავარია, არ მრცხვენია უკან მოხედვის.

***თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?***

–შევცვლიდი ჩემს ასაკს. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

***ის, რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით:***

–ვიტყოდი და კარგია თუ ყველა გაითვალისწინებს: საკუთარი გამორჩენის სურვილმა არ უნდა შეიწიროს ქვეყნის ინტერესები, რადგან ეს ისევ ჩვენ დაგვაზარალებს.

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი***

### ხელისუფლება ხალხის სამსახურში!

# მიწის მფლობელთა ხელშეწყობის პროგრამის განმარტება

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 აპრილის №212 დადგენილებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის პროგრამა იწყება.

პროგრამის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.

პროგრამის ბენეფიციარები იქნებიან–საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან/და საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირები (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მათთან აფილირებული პირებისა, ასევე საფინანსო ორგანიზაციებისა), რომელთაც დადგენილების ამოქმედების თარიღისათვის საკუთრებაში ან თანასაკუთრებაში გააჩნიათ ჯამური ფართი არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს- 1.25 ჰა, ან/და არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით, განახორციელონ მიწის ნაკვეთ(ებ)ის პირველადი რეგისტრაცია ან ინფორმაციის იმ სახით დაზუსტება, რომლითაც იდენტიფიცირებადი გახდება, აკმაყოფილებს თუ არა პირი პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებს. სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრულია 300 ლარით (ქულით) ყოველ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე გადაანგარიშებით.

აღსანიშნავია ასევე, რომ იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარ(ებ)ს მიწის ნაკვეთები გააჩნია, როგორც საკუთრებაში ასევე თანასაკუთრებაში, სუბსიდიის თანხის დაანგარიშებისას არ იქნება გათვალისწინებული საკუთრებაში და თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობების ჯამი და ასეთი ბენეფიციარები სუბსიდიის თანხას მიიღებენ ცალ - ცალკე.

თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის შემთხვევაში, სუბსიდია გაიცემა ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე, რომელიც ბანკში წარადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობის დოკუმენტს, რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია ან ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმდგენი თანამესაკუთრე და რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია.



პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებზე სუბსიდიის გაცემა მოხდება სპეციალურ აგრობარათზე ან/და უკვე არსებულ ანგარიშ(ებ)ზე/გადაცემულ ბარათ(ებ)ზე შესაბამისი ქულების დარიცხვით. ბენეფიციარების აგრო-ბარათებით უზრუნველყოფას მოახდენს სს „ლიბერთი ბანკი“.

ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად იმ სარეალიზაციო ობიექტებში, რომელთაც მინიჭებული აქვთ/მიენიჭებათ უვადო აღიარება „იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის 590 დადგენილების საფუძველზე.

პროგრამის ბენეფიციარი



ვალდებულია დარეგისტრირდეს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სს ლიბერთი ბანკში აგრო-ბარათის მიღებისას ან ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ცხელ ხაზზე 1501-ზე დარეკვითაც.

ბარათ(ებ)ზე დარიცხული ქულების ან/ და თანხის გამოყენების ბოლო ვადაა 2022 წლის 30 ნოემბერი.

მოქალაქეებს კონსულტაციისთვის შეუძლიათ მიმართონ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს - ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს.

მის: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, ოთახი №302 ან დარეკონ ტელეფონის ნომრებზე:

**595-85-83-93,**
**595-85-83-20,**
**595-85-83-22.**

***ბესიკ ნაჭყებია,***
***ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს–ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი.***

წიგნის პრეზენტაცია



# შავი ორქიდეა...

გაზაფხულზე, ბუნების გაღვიძებასთან ერთად, პოეზიაც იწყებს გამონათებასა და ახალი ფერებით გაბრწყინებას.

ჩვენს მუნიციპალიტეტშიც გამოიკვეთა ზეიმი სიტყვისა და უკვე რამდენიმე თბილი და საგულისხმო საღამო გაიმართა. აღსანიშნავია ჩვენი საყვარელი მასწავლებლისა და დიდებული შემოქმედის ბატონ ლემზარ გაბელიას ლექსების კრებულის პრეზენტაცია და ცნობილი პოეტის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ბატონ ენვერ სალაყაიას ახალი პოეტური კრებულის წარდგენა მკითხველების წინაშე.

ორივე საღამოს სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ საზოგადოება „ხობელი", რომელიც მისი მესვეურების, ბატონების მერაბ სალაყაიასა და საზოგადოების თავმჯდომარე ბეჟან ნადარაიას განცხადებით, მომავალშიც არაერთ საინტერესო ღონისძიებასა და საღამოს გვპირდება ჩვენი მუნიციპალიტეტის გარდასული ჟამის გაცოცხლებისა თუ მომავალი თაობების ინტელექტუალურად ინფორმირების კუთხით, რაც ყოველმხრივ მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

ბატონი ენვერის წიგნის „სიყვარულის საგალობლების" განხილვას, რომლის ე.წ. რედაქტორის გვერდს ერთვის, ტრაგიკულად გარდაცვლილი ქალიშვილის სურათი, ვუწოდე „შავი ორქიდეა" სტეფან ცვაიგის ცნობილი ნოველის „სიკვდილთან ერთად" გავლენით, სადაც მწერალი ამბობს:

„მწუხარება აშავებს სამყაროს, სევდისფრად გაიშლებიან ყვავილები, ხეები, ბალახები, განსაკუთრებით დასევდიანდება უსპეტაკესი ორქიდეა და დაიკრავს ტკივილის ფერს, გინახავთ შავი ორქიდეა?!"

ბატონი ენვერი, როგორც შემოქმედი და მოქალაქე, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საღამოს წამყვანმა, უაღრესად წიგნიერმა ადამიანმა და გამორჩენილმა პუბლიცისტმა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ, რომელმაც ავტორის წარსული ცხოვრების ქრონიკების გაცოცხლებასთან ერთად, ისაუბრა მისი პოეზიის მნიშვნელობასა და სიწრფელეზე, რაც ესოდენ დამახასიათებელია ბატონი ენვერის ლექსებისთვის, სადაც უწინარესად თავს წარმოიჩენს სატრფიალო და პატრიოტული ლირიკა, დასაბამი მისი შემოქმედებითი ხასიათისა თუ განწყობისა.

საღამოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფონად გასდევდა ტკივილი ბატონი ენვერის ტრაგიკულად გარდაცვლილი ქალიშვილის შორენა (ბაკო) სალაყაიასი, რომელიც გახლდათ უნიჭიერესი გოგონა, მუსიკალური ნიჭითა და გამორჩეული ხმის ტემბრით დაჯილდოებული, წლების განმავლობაში ასე რომ ამშვენებდა ჩვენი და არა მხოლოდ, თეატრისა თუ კულტურულ დაწესებულებათა სცენებს. ამ გაუსაძლის ტკივილზეც ისაუბრა ბატონმა ბეჟანმა, გამძლეობა და მხნეობა უსურვა ავტორს. თვალსაჩინოებისთვის წაიკითხა ლექსები ახალი კრებულიდან და დასასრულს სიტყვა გადასცა მწერალ ლაშა გვასალიას, რომელმაც საღამოსთვის შესაფერ ფორმატში, პოეტის შემოქმედებასთან ერთად განიხილა მისი პოეტური ხაზის ლიტერატურულ-ფილოსოფიური წახნაგები. თემისა და მოცულობის თანხვედრა პოეტური საგნის უსასრულობასთან. ამ მხრივ მეტად საინტერესო გახლდათ მხატვრული შემოქმედების სუბიექტის გამოყოფა, შემოქმედებით უნართან ერთად და შექმნა მხატვრული განცდისა, რომელსაც ბატონი ენვერის შემთხვევაში ესაფუძვლება ფანტაზიის სიჭარბე, დოკუმენტალური მოცემულობა და წარმოსახვითი ნიჭი. ამ კუთხით, გამომსვლელმა გამოყო რამდენიმე ნიმუში განსახილველი კრებულიდან და ხაზი გაუსვა მეტაფორული და სახეობრივი აზროვნების ზომიერებას, სინტაქსურ დახვეწილობას. ასევე საყურადღებო გახლდათ მისი, როგორც ისტორიკოსისა და ისტორიული ნარკვევების ავტორის წარმოჩენა, რომელთა გამომზეურება უთუოდ საჭირო და საინტერესო იქნებოდა ყველა თაობის მკითხველისთვის.



ბატონმა ლაშამ ხაზი გაუსვა ასევე ავტორთან მის ნათესაობას და ამით გამოხატა სიახლოვე იმ დიდ ტკივილთან, რომელსაც „ერქვა" ბაკო, გაიხსენა ახლო ურთიერთობა ამ ძვირფას და ნიჭიერ გოგონასთან, განსაკუთრებით გამოყო მისი დეკლამატორული უნარი, რომელიც არაერთხელ წარმოუჩენია თბილისში, მისი სტუდენტობის დროს, ბატონი ლაშას და ახალგაზრდა შემოქმედთა ინიციატივით დაარსებულ ლიტერატურულ სალონში გამართულ საღამოებზე, როგორც წამყვანსა და დეკლამატორს.

სიტყვის დასასრულს, ბატონმა ლაშამ ურჩია ბატონ ენვერს, მთელი არსებით მომზადებულიყო ახალი პოეტური ციკლისთვის, რომელსაც უთუოდ დააწერინებდა დიდი ტკივილი და შეაქმნევინებდა ახალ უნიკალურ ნიმუშებს.

დიდ უბედურებას დიდი შემოქმედებითი აფეთქება ახლავსო თან, უთქვამს დიდ კონსტანტინეს! ბატონი ენვერის პიროვნებასა და მის პოეტურ შესაძლებლობებზე ისაუბრეს დამსწრე ხობელებმა, ზეპირად წაიკითხეს პოეტის გამორჩეული ლირიკული ნიმუშები და გაიხსენეს აწ გარდაცვლილი ღირსეული ხობელები, იმედო ქანდარია, გოგი ბუკია, რომლებიც განსაკუთრებულად აფასებდნენ ბატონ ენვერს და ხშირად, სუფრასთან თუ სხვადასხვა თავყრილობებზე კითხულობდნენ მის ლექსებს.

პოეტზე გულთბილად და შთამბეჭდავად ისაუბრეს ქალბატონებმა რალა ჩემიამ, ნაირა ბერაიამ და სხვებმა... აღნიშვნის ღირსია საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ლევან ქავთარაძის სიტყვა, რომელმაც ხაზი გაუსვა პოეტის ღირსეულ მოქალაქეობასა და გულწრფელ შემოქმედებას. ენვერ სალაყაიას გამორჩეულ ხობელობასა და პატიოსნებაზე ისაუბრა ბატონმა მერაბ სალაყაიამ და საზოგადოებას ესაუბრა „საზოგადოება ხობელის" ახალ გეგმებსა და იმ ინიციატივებზე, მასთან იმაზეც, რომ საზოგადოებას ეწოდებოდა ჩვენი მუნიციპალიტეტის „აღმშენებლისა" და კეთილისმყოფელის, წარსულში მისი გამორჩეული ხელმძღვანელის ბატონი ნუგზარ ნადარაიას სახელი. ინიციატივას დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა.

პოეტზე და მის ახალ კრებულზე საინტერესოდ ისაუბრეს ბატონებმა როსტევან გვარამიამ, ანტონ ვარდიამ და სხვებმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს დიდებულმა ხობელებმა: როლანდ ჯიქიამ, უტა ზაქარაიამ, ქალბატონმა როზეტა შულაიამ და მანანა შამათავამ. საღამოს მსვლელობისას ლექსებს ახალი კრებულიდან კითხულობდნენ ხობის ნომერ პირველი და მეორე საჯარო, ასევე სკოლა „არეას" მოსწავლეები.

დასასრულს, მადლიერების გამოხატვასთან ერთად, ახალ წიგნზე მოკლედ ისაუბრა ბატონმა ენვერმა და წაიკითხა ცნობილი ლექსი: „მე შენს ციხე-ქალაქს ალყა შემოვარტყი".

... და დასრულდა საღამო „შავი ორქიდეა"!.

**ნანა გვასალია**

ენვერ სალაყაია

## ბაქოს

უშენოდ ღამდება, უშენოდ თენდება,
უშენოდ ჩადის და ამოდის მზე,
შარაგზამ კი არა, ჟამთასვლამ კი არა,
უშენოდ ცხოვრებამ დამღალა მე.
რა არის არსობა, ლხენა და თამაში
განცხრომა, სიმაძღრე, თაფლი და რძე,
რა არის ფიქრები ფრთები და ოცნება,
უშენოდ დარდი და ცრემლი ვარ მე.
უშენოდ ღამდება, უშენოდ თენდება,
უშენოდ ჩადის და ამოდის მზე,
სიცოცხლე რად მინდა, ცხოვრება რად მინდა,
სამოთხეც რად მინდა, უშენოდ მე

* * *

თუ მე ღირსი ვარ დე ასე იყოს,
გაცივდეს ჩემში ჯალათის ტყვია,
მართლაც ყალბი ვარ ცხოვრების წრედში
თუ ყველა კოცნას ტრფიალი ქვია.
არა, არ მჯერა ამდენ ტყვეობის
ამდენი განცდა, ამდენი რყევა
შენი ხმა ისმის სამოთხის ბაღში
ყვირიხარ სად ხარ, სადა ხარ ევა.
ევა აგზნებით ვაშლის ტოტს უმზერს,
აღარ აშინებს უფალის მზერა,
არ ესმის ღმერთის მკაფიო ენის
მას მხოლოდ თავის გულის ხმის სჯერა
შენ კი ისევე ეძებ და უხმობ,
ევას დათაფლულ თვალთა სიღრმეებს,
ვნება გაგიწყვეტს ხელფეხზე ბორკილს
და ცოდვილ ადამს გადაიმღერებ.
თუმცა მოიცა, წამით დავუშვათ
სამოთხის არსის აზრთან შეხება,
მე და შენ ორნი წმინდანი ბაღში
და სხვათა ყოვლის გადაშენება?
არა, ძვირფასო ცხოვრება მკაა,
ცრემლის, სიამის ტკბობის და გვემის,
დედამიწაზე კაცის სიცოცხლეს
მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრება შვენის.
თუ მე ღირსი ვარ, დე, ასე იყოს,
გაცივდეს ჩემში ჯალათის ტყვია,
მართლაც ყალბი ვარ ცხოვრების წრედში
თუ ყველა კოცნას ტრფიალი ქვია.

* * *

როგორ მინდა იმ მწვერვალზე
რომ ამომყვე დაგაჯერო,
ცის და მიწის შესაყართან
სიყვარულზე აგამღერო.
შენ რა იცი მე აქამდე
თუ რა ცეცხლში გამივლია,
ეს ცხოვრება უთანაბრო
რა ბრძოლებში გაილია.
შენ ღიმილსაც კი მამადლი
ქარიშხალი მაბურია,
დაფნის გვირგვინს მე ვინ მომცემს
მე ეკლების მახურია.
როგორ მინდა იმ მწვერვალზე
რომ ამომყვე დაგაჯერო,
რომ სიკვდილი ვერ გაბედო
ისე უნდა აგამღერო.

მასწავლებლობა, ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა. ფასდაუდებელია ის შრომა და ღვაწლი, რასაც მასწავლებლის პროფესია მოიცავს. არ არსებობს თაობა, რომელსაც მოსწავლეობის პერიოდში ამ ყველაფრის დაფასების უნარი შესწევდეს. ალბათ დამეთანხმებით, რომ მოზარდებთან ურთიერთობა, ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ ამავდროულად, საკმაოდ რთული პროცესია. შესაძლოა, მასწავლებელმა ღრმა კვალი დატოვოს მოზარდის ცნობიერებაში. სწორედ. ამიტომაც გვაქვს ჩვენს უმდიდრეს ქართულ ენაში მასწავლებლის ერთ-ერთ სინონიმად_აღმზრდელი. მათივე დამსახურებაა წარმატებული თაობა, რომელიც წარმატებული ქვეყნის საწინდარია!

როგორც ძველბერძენი ფილოსოფოსი პლუტარქე იტყოდა: „მოსწავლე არ არის ჭურჭელი, რომელიც უნდა აავსო. ის ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო!“

კარგი მასწავლებელი კი ანთებულ სანთელს ჰგავს, რომელიც გრძელ და დაბრკოლებებით სავსე გზას გინათებს, იბრძვის შენთან ერთად იმისთვის, რომ ტრიუმფი ღირსეული იყოს.

სწორედ ასეთ სანთელს ჰგავს ცირა მასწავლებელი, რომელიც ორიენტირებულია იმისთვის, რომ მის მოსწავლეებს მისცეს კარგი განთლება. რომ შეიქმნან საუკეთესო მომავალი და როგორც იტყვიან, მიზანი ამართლებს საშუალებას. ცირა მასწავლებლის მოსწავლეები ძალიან წარმატებულები არიან, ცირა კი საუკეთესო მასწავლებლის ერთ-ერთი მაგალითია. და ბოლოს, დავესესხები ნენსონ მანდელას და მინდა აღვნიშნო, რომ „განათლება დიდებული საშუალებაა პიროვნების განვითარებისთვის. სწორედ, განათლების წყალობით შეიძლება გახდეს გლეხის შვილი-ექიმი. მეშახტის შვილი-შახტის დირექტორი. ფერმერის შვილი-ქვეყნის პრეზიდენტი!“ წარმატებული და განათლებული თაობა კი კარგ მასწავლებელზეა დამოკიდებული.

# წარმატებული მასწავლებელი —მომავლის გარანტი



***როგორია თქვენი წარმატების ფორმულა, რომ გაგვიზიაროთ?***

—ვფიქრობ წარმატების ფორმულა არის დაულალავი შრომა და სურვილი მუდამ განვითარდე, არასდროს უნდა შეწყვიტო სწავლა და სულ უნდა ისწრაფვოდე ახალი მიზნის მიღწევისკენ, საკუთარი თავის რწმენა უნდა გქონდეს და არ უნდა შეუშინდე დაბრკოლებებს.

***დღეს მასწავლებლობა ძალიან ბევრს ნიშნავს, რას იტყოდით თქვენ?..***

—მასწავლებლობა არ არის მხოლოდ საგნის სწავლება. მასწავლებელს მომავალი თაობის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის. უმნიშვნელოვანესია ბავშვის კარგ პიროვნებად ჩამოყალიბება, რომელიც საკმაოდ რთული და საპასუხიმგებლო პროცესია. ყოველთვის ვცდილობ ვიყო ჩემი მოსწავლეებისთვის უფროსი მეგობარი, ხოლო რაც შეეხება განათლებას, ვცდილობ, მაქსიმალურად სახალისოდ მივაწოდო ბავშვებს ახალი მასალა და ახალი საინტერესო მეთოდებით ვასწავლო ინგლისური ენა.

***ჩვენთვის ცნობილია, რომ სკოლის მოსწავლეები წარმატებას აღწევენ თქვენი დაუღალავი შრომით. ეს მართლაც საამაყოა, რას იტყოდით ამ წარმატების შესახებ?***

—სასიამოვნოა, როცა ხედავ შენი შრომის შედეგს. თითოეულ ბავშვში ვცდილობ ჩემი მაქსიმუმი ჩავდო, რადგან ყველა ადამიანში არის მზე, უბრალოდ უნდა მისცე უფლება ანათოს. ალბათ ეს მასწავლებლობის ერთ-ერთი უდიდესი პლიუსია, როდესაც შენი მოსწავლის წარმატების უდიდესი ნაწილი ხარ და როდესაც ის შენი მიცემული განათლებით ასხივებს.

***რას ურჩევდით დღევანდელ თაობას?***

—ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი თაობა გვყავს და ეს მახარებს. ახლანდელ თაობას ვურჩევდი, რომ არასდროს შეწყვიტონ ბრძოლა განვითარებისთვის და არ შეუშინდნენ დაბრკოლებებს. გამოიყენონ საქართველოს წარსული, რათა შექმნან უკეთესი მომავალი.

***წარსულში, რომ დავბრუნდეთ, პროფესიული კუთხით მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც გეგემავდით და რომ არა მასწავლებლობა, სხვა პროფესიის წარმომადგენელი იქნებოდით?***

—მე პედაგოგების ოჯახიდან მოვდივარ... ოჯახის სამი წევრი პედაგოგი იყო... წარსულში მიხდება მათზე საუბარი დასანანია. ბებია... ბაბაუა... და დედა. განსაკუთრებით ჩემი ბებია, (ლიანა შამუგია) დღეს თუ რამეს წარმოვადგენ მისი გავლენა უდიდესია. ის ჩემი მოძღვარი იყო... ჩემი ცხოვრების პედაგოგი... ნახევარი საუკუნე ემსახურა სკოლას და მომავალი თაობის აღზრდას, ვამაყობ მისი შვილიშვილი, რომ მქვია.

***რას ეტყოდით თქვენს პირველ მასწავლებელს?***

—ჩემი პირველი მასწავლებელი... გამახსენეთ ჩემი კუთხე აფხაზეთი... ჩემი სოხუმი... ჩემი მე- 11 სკოლა... დედის კალთას ამოფარებული მტირალა გოგო, როგორ ჩამიკრა გულში მასწავლებელმა, მასწავლა და შემაყვარა... ამას მოყვა ომი, რომელიც დღემდე გრძელდება და ყველას მოვიკითხავ დიდი სიყვარულით, ტკბილი მოგონებებით...

***რა პროფესიული რჩევებით შემოიფარგლებოდით თქვენი კოლეგების ან თუნდაც დამწყები მომავალი პედაგოგების მიმართ?***

—ჩემს კოლეგებს ვურჩევდი, რომ არასდროს დაიზარონ შრომა და თითოეულ ბავშვში ჩადონ ცოდნის მარცვალი, მათ აუცილებლად დაუფასდებათ ეს შრომა. ვურჩევდი მუდამ განვითარდნენ და არასდროს შეწყვიტონ სწავლა. გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს, ქონდეთ საკუთარი შეხედულება. შეისწავლონ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობანი, დააკვირდნენ, აგრძნობინონ, რომ ისინი მუდამ ახსოვთ.

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის და ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი ცირა ძაძუა, მართლაც უცნაური, პირმცინარე, აფხაზეთის სხივებით და ზღვის ტალღებით გაჯერებული იმედიანი თვალებით გავიცანი, ის ძალიან საინტერესო რესპოდენტი გამოდგა, ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ მისი შრომისუნარიანობის და საქმის სიყვარულის შედეგად ის ბევრ წარმატებას მიაღწევს მომავალ თაობასთან ერთად.

***მეგი ყურაშვილი.***

# წლეში ჩვენი სიმღიდრე...

## ღია ბარათი ლირა ბასილაიას!



ჩვენი ნაცობობა წალვერიდან დაიწყო. ჩემი ოჯახისთვის ეს პატარა დაბა საყვარელი ადგილი იყო. ბავშვობის წლების ყოველი ზაფხული აქ გაილია...

ბოლო წელს შენ და შენი ახლობლები გაგიცანით ჩემო „ჭაჭუ“. ძალიან მომეწონე, შენმა ენაკვიმატობამ და სხარტმა მეტყველებამ შენი თავი შემაყვარა. გახსოვს „სკან თოლ!..“

ლიტერატურა და პოეზია ორივეს გვიყვარდა... დავმეგობრდით. შენი სახლის ხშირი სტუმარი გავხდი... შემდეგ იყო დრო, როცა უკვე ერთად ვმუშაობდით, ერთ ოთახში ვისხედით. საერთო საქმეს ვაკეთებდით. ეს ადგილი „ხობის მოამბის“ წინამორბედის „კომუნიზმის მშენებელის“ რედაქცია გახლდა.

გაზეთი და მისი შესანიშნავი კოლექტივი ჩვენი ნავსაყუდელი იყო. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მეგობრები ვიყავით. რამდენი საინტერესო და მნიშვნელოვანი ლამაზი წლები გავიდა ერთად. გაზეთის გამოშვებაში ნათევი ღამეებიც ერთგვარი სიამოვნება იყო. მრავალი ნიჭიერი, გამორჩეული ადამიანების მხარდამხარ ვიღწვოდით, ვმეგობრობდით, რამდენი წავიდა და მოვიდა... მართლაც ნიჭიერი და გაზეთზე, პოეზიაზე, მწერლობაზე შეყვარებული ადამიანების გარემოცვაში ვცხოვრობდით, ძალიან კარგი, ლამაზი და მშვენიერი წლები იყო...

მუდმივი არაფერია, გავიდა წლები, შენც წახვედი ჩვენგან, ხშირად ვხვდებოდით ერთურთს... (ფუცხუს ნათქვამი გახსოვს, „არ შეჭამოთ ის შოკოლადი. არ მოგწამლოს, ვინ იცის, რამდენი წლისააო“. ვჭამდით და ვიცინოდით.

ლირა, შენ ჩემი სიყვარულის ულლატო მოწმეც იყავი. გოგის გერონტის ეძახდი. ორივეს კვიმატი ენა გქონდათ, უგებდით ერთურთს, ძალიან გიყვარდა... ჩვენს სიცოცხლეს გვილამაზებდი, შრომას გვიმსუბუქებდი...

წლები გავიდა. ჩემს ცხოვრებაში გაჩნდნენ შვილი, რძალი, შვილიშვილები... დღეები გადიოდა ოჯახზე ზრუნვაში თითქოს გავვუცხოვდით. ხშირად ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით. ახლა, მართლა არ ვიცი როგორი ხარ. მიყვარხარ ისევ ისე, როგორც მაშინ, ისევ მენატრება შენთან საუბარი, შენგან მორთმეული კანფეტებიც–„წამლები“, რომელსაც ხშირად არ მაძლევდი. ჩვეული ღიმილით (შემამკე შენეული გამონათქვამებით).

ლირიკა, შენ თავად თავს არ იწუხებდი და არ შემხმიანებიხარ. გოგიც დაგავიწყდა მგონი, მასზე არაფერს წერ საგაზეთოდ.

ძალიან მინდა შენთან მოსვლა და საუბარი... მით უფრო, 20 მაისი ხომ შენი დაბადების დღეა...

ზაფხულში, ჩვენი გაზეთი 90 წლის გახდება. დამელოდე, მაშინ აუცილებლად ვნახავთ ერთმანეთს. დავიწყებულ, ჩვენგან წასულ, გზაგაკვალულ „გოგო-ბიჭებსაც“ შევხვდებით, იმქვეყნად წასულების მონატრებაც მტკივა...

დალოცვლილი იყავი ჩემო ძველო მეგობარო.

მიყვარხარ! მახსოვხარ!

***ნანი კილასონია.***

## 24–30 აპრილი, 2022 წელი

# ევროპის იმუნიზაციის კვირეული

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონული ბიურო ევროპის იმუნიზაციის კვირეულს 2022 წლის 24–30 აპრილს აღნიშნავს. საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში







და ახორციელებს სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის თემაა „დიდხანს სიცოცხლე ყველას“. კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1996 წელს. 0-დან 18 წლის ასაკის მოსახლეობის ვაქცინაციას სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 ინფექციის–ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, ბ ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის, ადამიანის პაპილომავირუსის, პნევმოკოკური ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი „ბ“ საწინააღმდეგო ვაქცინაციას 9 ვაქცინის საშუალებით, რომლებიც რეკომენდებულია ჯანმოს მიერ, რაც მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების გარანტიაა.

პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის–ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში. ამავე პრინციპების დაცვით სახელმწიფო ქვეყნის მოსახლეობას უზრუნველყოფს გრიპის, ანტირაბიული, ყვითელი ცხელებისა და კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, ზოგიერთი დაავადების მდგომარეობის საპროფილაქტიკო ან სამკურნალო ბიაქტიური პრეპარატებით.

კოვიდ-19-ის ეპიდემიის დაწყებიდან ერთი წლის თავზე, მეცნიერებმა უზრუნველყვეს კოვიდ–19-ის საწინააღმდეო ვაქცინის შემუშავება. ამჟამად ვირუსთან გამკლავების მთავარი ხაზი გადის აცრებზე სხვა პრევენციული ღონისძიებების დაცვასთან ერთად. მსოფლიოს მოსახლეობის 70% უნდა აიცრას 2022 წელს იმისთვის, რომ პანდემიის მართავა გადავიდეს ახალ საფეხურზე, მოხდეს მისი ენდემურ ინფექციად აღიარება.

საქართველოში 2021 წლის 15 მარტიდან დაიწყო კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეროვნული პროგრამა და დღეისთვის სრულად აცრილია 1 261 049 ადამიანი, რაც ზრდასრული მოსახლეობის 43,9%-ს წარმოადგენს.

იმუნიზაციის კვირეულის მთავარი გზავნილებია:

დიდხანს სიცოცხლე ყველას;

ვაქცინები ხანგრძლივი და სრულფასოვანი ცხოვრებისთვის;

ვაქცინაცია სიცოცხლისთვის საშიში დაავადებისგან დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ვაქცინაცია ბავშვების ნათელ მომავალს უზრუნველყოფს;

ვაქცინაციით მოცვის შემცირება გლობალური გამოწვევაა;

ვაქცინაცია ხელმისაწვდომია ყველგან და ყველასთვის.

ვაქცინა მუშაობს

გაიგე შენი და შენი შვილის ვაქცინაციის სტატუსი–აცერი და დაიცავი;

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია–ავიცრათ ერთმანეთისთვის, აიცერი, გაიკეთე ბუსტერი და დაიცავი საკუთარი და საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობა, აიცერი, გაიკეთე ბუსტერი და თავიდან აირიდე დაავადების მძიმე მიმდინარეობა, ორსულებისთვის მნიშვნელოვანი, უსაფრთხო და ეფექტურია! ვაქცინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმულებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის. კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია პანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

კოვიდ-19-ის საწანააღმდეგო ვაქცინაცია ორსულებისთვის მნიშვნელოვანი, უსაფრთხო და ეფექტურია, აუცრელ ორსულებში კოვიდ-19-ის მძიმე ფორმების განვითარებისა და ნაადრევი მშობიარობის რისკი ბევრად მაღალია.

ხართ 60+ასაკის? აიცერით კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით და დაიცავით საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ევროპაში 600 მილიონზე მეტი ადამიანი აიცრა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით.

ადამიანის პაპილომა ვირუსის საწანააღმდეგო ვაქცინა იცავს გოგონებს საშვილოსნოს ყელის კიბოსგან. აღნიშნული ვაქცინაციით შესაძლებელია საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 97%-ის თავიდან აცილება. საქართველოში აპკ ვაქცინაცია ტარდება 10-12 წლის გოგონებში, დღეისთვის აცრა ასევე ხელმისაწვდომია 13-18 წლის გოგონებისთვის.

ორ საუკუნეზე მეტია ვაქცინები უზრუნველყოფენ ბავშვების უსაფრთხოებას ყველგან და ყველასთვის.

1950 წლიდან ვაქცინები დაავადებისგან დაცულ ბავშვობას და ჯანმრთელ მომავალს უზრუნველყოფენ. ვაქცინების წყალობით ახალშობილებს აღარ ემუქრებათ წითურისაგან გამოწვეული სიბრმავე, პოლიომიელიტი ვერ შეაფერხებს პირველ ნაბიჯებს, ხოლო წითელა არ შეუშლის ხელს სწავლაში. ვაქცინაცია ბავშვებში ჯანმრთელ მომავალს უზრუნველყოფს.

სეზონურ გრიპს, რაც შეეხება ინფიცირებისას, მისი მძიმე ფორმების განვითარებისა და სიკვდილის რისკი უფრო მაღალია, სწორედ ამიტომ სეზონის დროს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით პირველ რიგში იცრება რისკ-ჯგუფების წარმომადგენლები, როგორც 60 წელზე მეტი ხნის ადამიანები, ორსულები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, 5 წლამდე ასაკის ბავშვები. ვაქცინაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველგან და ყველასთვის.







მიგრანტებს და ლტოლვილებს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ვაქცინაციაზე, რათა დაცულები იყვნენ იმ დაავადებებისგან, რომლებიც შესაძლოა გავრცელებული იყოს მათი თავშესაფრის ადგილას.

ვაქცინაცია სიცოცხლისთვის საშიში დაადადებებისგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ვაქცინები ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინოვაციაა, რომლებიც უზრუნველყოფენ მძიმე დაავადებების თავიდან აცილებას.

ამდროისთვის 20-ზე მეტი ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა არსებობს, რომელთა წყალობით ყოველწლიურად 3 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ხდება.

იმუნიზაციის კვირეულთან დაკავშირებით, ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს შესაბამის აქტივობებს. ვატარებთ შეხვედრებს სხვადასხვა რისკ-ჯგუფების წარმომადგენლებთან, საუბრებს ვუტარებთ სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებს და აღსაზრდელებს, მშობლებს რუტინული (გეგმიური) ვაქცინაციის აუცილებელობასა და მნიშვნელობის შესახებ.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

სულთათანა

# „მე ლამაზი მეგობარი მყავდა...“ ლეილა წოწონავა



ლეილა, ჩემო ლამაზო მეგობარო, ჩემგან თითქოს დავიწყებულო დაიკო (ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მახსოვხარ!..), მაგრამ ის პატივი ვერ მოგაგე, როგორიც ჩემგან გეკადრებოდა მეგობარო, მაგრამ თითქმის შეიძლება ვთქვა, ეთმანეთს შეზრდილები და დამეგობრებული, ერთურთის ლხინისა თუ ჭირის თანაზიარები ვიყავით. რედაქცია იყო ჩვენი მეორე დიდი და ლამაზი ოჯახი, ჩვენი გაზეთი–სიყვარული და სიამაყე.

გოგი და შენ, ბავშვობიდან ერთად მოდიოდით და თითქმის ერთდროულად გაეცალეთ წუთისოფელს. გოგის მეორმოცე დღეს შენც წახვედი იქ, საიდანაც არასოდეს ბრუნდებიან. რომ არა გოგის გარდაცვალებით გამოწვეული გაუსაძლისი ტკივილი, შენი ამქვეყნიდან წასვლასთან შეგუება ძალიან გამიჭირდებოდა, ძალზე მტკივნეული იქნებოდა ჩემთვის, ჩემო მეგობარო.

ლეი, მე დღესაც მტკივა უშენობა. მტკივა, რომ ჩვენთან არა ხარ. რამდენჯერ მომნატრებია შენი ლამაზი ნამღერი... შენი გემრიელი ხმის მოსმენა. ხშირად ამოტივტივდება ჩემს გონებაში გოგი და შენ რომ მღეროდით „ნაპირს გასცდა გემი თეთრი “

გაილჲია წლები, 15 წელი გავიდა... დიდი ხანია შენი ლამაზი შვილებიც არ მინახავს, შვილიშვილები ვიცი, რომ ჭკვიანები, დიდები და საამაყონი არიან. ვიცი, მათი ნახვით, როგორ იამაყებდი, აფსუს!.. შენ რომ ყოფილიყავი, ისინიც, როგორც შენი ლამაზი და კარგი შვილები–ინგა და ირმა ჩვენს თვალწინ გაიზრდებოდნენ... რას იზამ, ასეთია ბუნების კანონი!..

წუთია წუთისოფელი...

ისევ მოვიდა მაისი–შენი დაბადების და გარდაცვალების თვე. რედაქციელებისთვის გაუსაძლისი ტკივილით სავსე. დღე არ გავა, არ გაგიხსენოთ, როგორ ალამაზებდი ჩვენს ცხოვრებას, შენს ოჯახს... შენს პირად წერილებს და ფუნაგორიებს ვინახავთ, დროდადრო ვკითხულობთ, ცრემლნარევად ვიცინით...

ხსოვნის დღეა და შენზე ორიოდე სიტყვის დაწერა მომინდა. ქრისტე აღსდგა! დაბადების დღეს იმიერში გილოცავთ! გვიყვარხარ! გვეენატრები! ლეილა, გვჯერა ნათელში იქნები და იქაც ყველას ეყვარები.

***ნანი კილასონია.***

# ნათელში იყავ... იმედო ქანდარია



იმედო, ძმაო, მეგობარო!

დღეს შენი მოგონების დღეა... შენზე ფიქრებმა შორს გამიტაცეს. მჯეროდა გოგის შემდეგ ჩემს ოჯახს მისი მეგობრები და ოჯახის ახლობლები ხშირად მოგვაკითხავდნენ, ახალგაზრდებს დამოძღვავდნენ... და უპირველესად შენ, აუცილებლად შემოახტებოდი ველოსაპედს და 5 წუთში ჩვენთან გაჩნდებოდი. მაგრამ ეს ასე დიდხანს არ გაგრძელებულა... სამწუხაროდ, შენმა ალალ-მართალმა, კეთილმა გულმა გიმტყუნა და მოულოდნელად გაეცალე ამ წუთისოფელს. დაგვიტოვე ტკივილი და მონატრება. დააკლდი შენს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, საყვარელ სოფელს, ქალაქს, სადაც წლები საპასუხისმგებლო სამსახურებში გიღვაწია, გიშრომია და ხალხის დიდი სიყვარული მოგიპოვებია, რომელთა ალალმა ცრემლებმა დაგინამეს საფლავი.

გოგის მერე დიდი ამაგი გაქვთ შენ და მანანას, როცა ბავშვები თბილისში სწავლობდნენ ხშირად ნახულობდით მათ, ისინიც იმედის გრძნობით გელოდებოდნენ მუდამ.

იმედო, ძმაო მოახერხე და ძალიან შორს შენს მოგობარს, გოგის გაყევი, მასთან წახვედი და დავრჩი უთქვენოდ. თუმცა ჩვენი ნათლული მაიკო, ძველებურად მეგობრობს თამუნა და გიორგისთან, თბილისიდან ჩემოსული ისევ გვახარებს მისი მოსვლით, ჩვენთან სიახლოვით, მეგობრობა გრძელდება... ლამაზად და სიყვარულით... და არასოდეს გაქრება ეს ურთიერთობა.

მტკივა გოგის მეგობრების ამ ქვეყნიდან წასვლა მით უფრო შენი, ბადრის, ალეგრას, ლადოს. ჩვენო მეგობრებო, ძმებო ტკივილი ტკივილს ემატება. მე ჩემი დაიკო კლარაც დავკარგე. ღმერთმა ქნას და სხვები ყველა ჩემდა გასახარად, სულ ბედნიერად ყოფილიყვნენ.

წლები გარბიან. ტკივილი და დარდი მაინც არ ქრება, ის კვლავაც სულს მიფორიაქებს, მაწუხებს, მტანჯავს.

მინდა, იქ ჩვენგან ძალიან შორს, არარეალურ სამყაროში თქვენმა სულებმა დაივანონ ღვთის სიახლოვეს. ჩვენ ღმერთს შევევედრებით ნათელში გამყოფოთ.

**ნანი კილასონია.**

# ცნობიერება და დამოკიდებულება სექსუალური შევიწროების მიმართ



კომპლიმენტები და სექსუალური ხასიათის კითხვები, მოკლეტექსტური შეტყობინებები, შეუფერებელი და სექსუალური მინიშნების ხასიათის შემცველი ფიზიკური შეხება, განმეორებით დაპატიჟება პაემანზე, ასევე, არასასურველი ფლირტი, სექსუალური შევიწროების ის ფორმებია, რომელთა გამოცდაც ხშირად უწევთ საჯარო მოხელეებს.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელეებმა თეორიულად, შესაძლოა, იციან სექსუალური შევიწროების ფენომენის შესახებ, ისინი ნაკლებად ახერხებენ მის ამოცნობას პრაქტიკაში. მაგალითად, სექსუალური კონტექსტის არასასურველი კომენტარები ან ხუმრობები მისაღებად და ნორმალურად მიიჩნევა, რადგანაც დასაქმებულები ამას არასასურველ ქცევად არ აღიქვამენ. საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებიდან გამომდინარე, ბევრი საჯარო მოხელე სექსუალურ შევიწროებას ტიპიური სამუშაო კულტურის ნაწილად აღიქვამს. ქალებსა და კაცებს განსხვავებული აღქმა აქვთ იმისა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სექსუალურ შევიწროებად. მაგალითად, ქალებთან შედარებით, კაცები ნაკლებად მიიჩნევდნენ სექსუალური შევიწროების ზოგიერთ ფორმას (მაგალითად, მიშტერებასა და არასასურველ მზერას) სექსუალურ შევიწროებად. ნიშანდობლივია გენდერული სხვაობა პრობლემის მასშტაბის აღქმის თვალსაზრისითაც. ქალების უმრავლესობას (93%) მიაჩნია, რომ სექსუალური შევიწროება სერიოზული სოციალური პრობლემაა მაშინ, როცა კაცების მხოლოდ 44% ფიქრობს იმავეს.

საჯარო სამსახურში უფრო მეტად გავრცელებულია ვერბალური და არავერბალური ფორმების სექსუალური შევიწროება, ვიდრე–პირადი სივრცის ფიზიკური დარღვევა. უხამსი კომენტარები, ხუმრობა, ფართოდ გავრცელების მიუხედავად, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება, უმეტესად, შეუტყობინებელი რჩება და ბევრ მსხვერპლს თუ შემსწრეს ეშინია ან არ სურს ხმის ამოღება, ან ზუსტად არ იცის, როგორ გააკეთოს ეს. როცა მსხვერპლები ჩივიან, ხშირად მათ არაეფექტიანი გასაჩივრების სისტემა ან პროცედურები ხვდებათ, არც შურისძიებაა იშვიათი. ხშირად ქალები, რომლებმაც იჩივლეს სექსუალური შევიწროების შესახებ, შედეგად სამსახურსაც კარგავენ.

სოციალური ნორმები, რომლებიც მსხვერპლს აკისრებს ბრალს და გენდერულ უთანასწორობაზე ხმამაღლა მოსაუბრე ქალების სტიგმატიზებას ახდენს, კიდევ უფრო აძლიერებს ტაბუს სექსუალური შევიწროების შესახებ.

უშუალო ხელმძღვანელი, სახალხო დამცველის აპარატი და სექსუალური შევიწროების შეტყობინებისთვის სპეციალურად შექმნილი მექანიზმი მიიჩნევა საჯარო მოხელეების მიერ სექსუალური შევიწროების შეტყობინების გაკეთების ყველაზე მისაღებ გზებად.

***თამუნა სიჭინავა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში.***

მილოცვა

# ქალბატონ ნათელა მარგველაშვილს!



არსებობენ ადამიანები, რომლებიც „მაღალნი და დიდნი“ არიან თავიანთი პიროვნული თვისებებით, მოქალაქეობრივი მრწამსით და შეგნებით, სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ხობის მუსიკალური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი, ორგანიზატორი (წლების განმავლობაში სკოლის დირექტორი) კარგი ოჯახის დედა და ბებია, თაობების აღმზრდელი და დამკვალიანებელი), კდემამოსილი ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი.

მას 80 წლის იუბილეს ვულოცავთ ისევე როგორც მას უყვარს–ჩუმად, უხმაუროდ, რომ იტყვიან, ზარ-ზეიმის გარეშე. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, თბილ სიბერეს შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად.

ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ ქალბატონო ნათელა, გვეიმედებით, გვიყვარხართ, გეფერებით, მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე.

***სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.***

# პროფესია „ფეხბურთელი“...



***ქალის „საფეხბურთო კარიერას“ მუდმივად ახლდა გენდერული დისკრიმინაცია, თუმცა, ევროპისკენ სწრაფვამ და საზოგადოების განვითარებამ ამა თუ იმ საკითხზე, დამოკიდებულებები შეცვალა.***

***დროთა განმავლობაში ქალების სიმრავლემ სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში, სტერეოტიპი, რომ ფეხბურთი მხოლოდ კაცებისთვისაა, შეასუსტა და დღეს საქართველოში და არა მხოლოდ, ძალიან ბევრი ქალია, რომელსაც წარმატებული საფეხბურთო კარიერა აქვს.***

***სწორედ, ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდაა ანა წულაია, რომელიც ქალთა საფეხბურთო გუნდის კაპიტანია. ფეხბურთისადმი მისმა სიყვარულმა და შესაძლებლობებმა კი ძალიან ბევრი ადამიანი აალაპარაკა. წარმატებისკენ მიმავალი გზა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი! მთავარია, ჩვენი შესაძლებლობების გვწამდეს და ნუ დაგვავიწყდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სწორედ, შესაძლებლობებია უსაზღვრო.***

**ანა წულაია:**

–შუა ხორგის საჯარო სკოლა დავამთავრე. ჩემი საფეხბურთო კარიერა ისე დაიწყო, როგორც უმეტესობა ფეხბურთელი გოგონების. ფეხბურთს მეც ბიჭებთან ვთამაშობდი, მანამ, სანამ ჩემი მწვრთნელი არ გამოჩნდებოდა და ჩემდამი ინტერესს არ გამოიჩენდა. ჩემი მოტივატორი ძმა ირაკლი წულაია იყო, სწორედ მან შემაყვარა ფეხბურთი. დღეს ის ფოთშია დასაქმებული მამა კობა წულაიასთან ერთად.

***თქვენთვის, რას ნიშნავს კაპიტნობა და როგორი უნდა იყოს გუნდის წინამძღოლი?***

–ჩემთვის კაპიტნობა პრივილეგია არასდროს ყოფილა და არასდროს დამიყენებია ჩემი თავი სხვებზე მაღლა. გუნდის კაპიტანი უნდა იყოს მაგალითი სხვებისთვის, უნდა გამოირჩეოდეს დისციპლინით, როგორც მოედნის შიგნით, ისე მოედნის გარეთაც. უნდა ამხნევებდეს თანაგუნდელებს თამაშის მსვლელობის დროს, უნდა მისცეს რჩევები და იხარჯებოდეს მოედანზე ბოლომდე.

***როგორი იყო ოჯახის რეაქცია, როცა ფეხბურთისადმი თქვენი ასეთი სიყვარული და ინტერესი დაინახეს?***

–ოჯახი თავიდან წინააღმდეგი იყო, არაერთი სირთულის დაძლევა მომიწია, მაგრამ თანდათან ყველა შეეგუა იმ ფაქტს, რომ მე დანებებას არ ვაპირებდი.

***ვინ არის თქვენი მთავარი გულშემატკივარი?***

–სადღეისოდ ვთვლი, რომ ჩემი მთავარი გულშემატკივარი, ჩემი ოჯახია, რომელიც ყველანაირად მიდგას გვერდში.

***თქვენს სფეროში საკმაოდ წარმატებული ხართ, რა გზა გაიარეთ ამ შედეგისთვის და რას გეგმავთ სამომავლოდ, განვითარების კუთხით?***

–პირველ რიგში, საკუთარი თავის უნდა ირწმუნო, უნდა გჯეროდეს, რომ ყველაფერი გამოგივა, უბრალოდ, დიდი შრომაა საჭირო, ზომიერად და ნელა, ასეთია გზა წარმატებისკენ!

***რას ეტყოდით დამწყებ ფეხბურთელებს, რომლებმაც თქვენი გზა უნდა გაიარონ?***

–უპირველესად, ვიტყვი იმას, რომ არასდროს თქვან უარი ოცნებებზე, მიუხედავად წინააღმდეგობისა, მთავარი მონდომებაა და მარტივად შევამჩნევთ, რომ შეუძლებელი არაფერია.

***თქვენს ბავშვობაზეც, რომ გვესაუბროთ, გამართლდა თქვენი მოლოდინები?***

–გამართლება ცოტა ისეთი ნათქვამია. ბავშვობაში, არასდროს მეგონა, თუ ასეთ წარმატებას მივაღწევდი ჩემს სფეროში და ჩემს ოცნებას ავიხდენდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ვითამაშებდი ეროვნულ ნაკრებში და მომიწევდა საკუთარი ქვეყნის წარმატებისთვის ბრძოლა, რომელიც მართლაც, რომ საამაყოა.

***თქვენთვის ფეხბურთი პროფესიაა, თუ სამომავლოდ ჰობად დარჩება და სხვა გეგმებიც გაქვთ?***

–მინდა მთელი ჩემი ცხოვრება ფეხბურთს დავუკავშირო, სამომავლოდ მწვრთნელობას ვაპირებ.

***ვინ არის თქვენთვის მისაბაძი ადამიანი და რატომ?***

–ჩემთვის მისაბაძი დედა თუთანა ფიფია გახლავთ, ის მუდმივად ჩემს გვერდში დგას, ამიტომაც ჩემი ყველა წარმატება მას ეძღვნება.

***თქვენი აზრით, როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს კარგი ფეხბურთელი?***

–კარგი ფეხბურთელი, ჩემთვის არის ის, ვინც ბოლომდე იხარჯება მოედანზე, ვინც ცდილობს, ყოველ დღე განავითაროს საკუთარი თავი.

ინტერვიუს ბოლოს ანამ ისაუბრა ქალების როლზე სპორტში. მისი თქმით, ყველა თანასწორია და რაიმე კონკრეტული პროფესია ერთი სქესის ადამიანისთვის არ არის განკუთვნილი. ქალებსაც შეუძლიათ წარმატებულები იყვნენ არა მხოლოდ ფეხბურთში, არამედ, სპორტის ნებისმიერ სახეობაში. ამის მაგალითია წარმატებული მოკრივე ანა ხუნჯუა, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს

***მეგი ყურაშვილი***

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.